საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 9808/01
19/10/2020

9808-01-2-202010191142

შპს „ავიაკოპტერს“
მის: *ქ. თბილისი, სამგორის რაიონი,*
აეროპორტის დასახლება

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 6 ოქტომბრის N15751 სკოპინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე აეროდრომის მშენებლობა/ექსპლუატაციის (ვერტმფრენებისთვის განკუთვნილი საფრენი მოედნის მოწყობა) პროექტს.

გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სკოპინგის ანგარიში უნდა მოიცავდეს:

- ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ალტერნატივების შესახებ. დოკუმენტში ვერტმფრენებისთვის განკუთვნილი საფრენი მოედნის მოწყობის ადგილის ალტერნატივა წარმოდგენილი არ არის, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.
- ზოგად ინფორმაციას იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის. თქვენ მიერ წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიში აღნიშნულ ინფორმაციას არ მოიცავს, შესაბამისად შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას.
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ ინფორმაციას GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp ფაილებთან ერთად). წარმოდგენილი GIS shape ფაილები არასრულფასოვანია (წარმოდგენილია მხოლო ერთი წერტილის კოორდინატი), შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.

ამასთან, სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საპროექტო ტერიტორიიდან, სადაც მოხდება ასაფრენი მოედნის მოწყობა, უახლოესი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, დაშორებულია 316 მეტრით, ხოლო ტერიტორიის ელექტრონული გადამოწმების შედეგად

დგინდება, რომ ასაფრენ/დასაფრენი ბილიკის განთავსების ადგილიდან დაახლოებით 130 მეტრში ფიზიკური პირის ბუხუტი დვალიშვილის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.11.04.019.311) განთავსებულია შენობა-ნაგებობა, დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული შენობა-ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება.

გაცნობებთ, რომ სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც შპს „ავიაკოპტერი“ უზრუნველყოფს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი სრულყოფილი დოკუმენტაციის სამინისტროში წარმოდგენას.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე